ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 173

19 მაისი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე II-ის ქუჩის მე-4 შესახვევი №2-ში (საკადასტრო კოდი: №81.08.21.462.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე II-ის ქუჩის IV შესახვევი №2-ში (საკადასტრო კოდი: №81.08.21.462.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის №23.560.633 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე II-ის ქუჩის მე-4 შესახვევი №2-ში, მეორე სართულზე არსებული 83.41 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №81.08.21.462.01.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ვახტანგ თამლიანისთვის (პ/ნ. 30001000223) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე